

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

თბილისი
2009

მ ე მ ო რ ა ნ ლ უ მ ი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ერთის მხრივ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში “უნივერსიტეტი”), მისი რექტორის პროფესორ არჩილ ფრანგიშვილის სახით, მეორეს მხრივ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ტყეშელაშვილი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში “დეპარტამენტი”), მისი თავმჯდომარის რამაზ ნიკოლაიშვილის სახით, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ნორმალურ ფუნქციონირებაში კადრების უდიდეს როლს, ითვალისწინებენ სპეციალისტების მომზადებაში აკადემიური განათლებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის გადამწყვეტ მნიშვნელობას და აუცილებლობას, რის შესაბამისად თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მხარეები ადასტურებენ, რომ სპეციალისტების მაღალხარისხოვანი მომზადებისთვის სამი ფაქტორია გადამწყვეტი – პედაგოგიური კადრები, სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა და წარმოებასთან მჭიდრო კავშირი.

მუხლი 2

სპეციალისტების მომზადებაზე საავტომობილო გზების, ხიდებისა და სატრანსპორტო გვირაბების პროფილით პასუხისმგებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმება შედის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უშუალო ინტერესების სფეროში.

ამ ამოცანების შესასრულებლად ორივე მხარე იღებს ვალდებულებას განახორციელოს ქვემოთ მითითებულ ორიენტირების ფარგლებში რიგი ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების კადრებით.

მუხლი 3

მხარეები მხედველობაში იღებენ იმ გარემოებას, რომ სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფის თვალსაზრისით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების მიმართულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მეთოდური ლიტერატურის ნაკრები საჭიროებს განახლება-მოდერნიზაციას საგზაო მშენებლობის დარგში თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამო უაღრესად გართულებულია სპეციალისტების პრაქტიკული მომზადების ორგანიზაცია და შეზღუდულია სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გატარების შესაძლებლობა, რაც არ იძლევა ახალგაზრდა სპეციალისტისათვის საჭირო უნარჩვევების გამომუშავების შესაძლებლობას, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

“დეპარტამენტი” ხელს შეუწყობს:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების სპეციალობის სასწავლო-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციას;
- საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების სპეციალობის სტუდენტების მიერ სასწავლო პრაქტიკის გავლას “დეპარტამენტში”;

- კომპეტენციის ფარგლებში გაუწევს შუამდგომლობას კონტრაქტორი ორგანიზაციების წინაშე და ხელს შეუწყობს საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების სპეციალობის სტუდენტების მიერ სასწავლო პრაქტიკის გავლას კონტრაქტორ სამშენებლო-საპროექტო ორგანიზაციებში;
- შესაძლებლობის ფარგლებში “უნივერსიტეტის” კურსდამთავრებულების სპეციალობის მიხედვით დასაქმებას “დეპარტამენტში”;
- კომპეტენციის ფარგლებში გაუწევს შუამდგომლობას კონტრაქტორი ორგანიზაციების წინაშე და ხელს შეუწყობს საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების სპეციალობის სტუდენტების მიერ დასაქმებას კონტრაქტორ სამშენებლო-საპროექტო ორგანიზაციებში;

“უნივერსიტეტი” იღებს ვალდებულებას:

- მოამზადოს მაღალი დონის სპეციალისტები საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების სპეციალობით, რისთვისაც ყოველმხრივ აქტიურად გამოიყენებს საზღვარგარეთულ გამოცდილებას, როგორც სწავლების უახლესი მეთოდების დანერგვის თვალსაზრისით, ისე სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შესახებ სტუდენტებისთვის ცოდნის მიწოდების მხრივ;
- აღნიშნული მიზნის რეალიზაციისთვის მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მიერ დამუშავდეს თანამედროვე ქართულენოვანი სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, რომელშიც აისახება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების უახლესი მსოფლიო მიღწევები;
- “დეპარტამენტის” მიერ განსაზღვრული საპროექტო დავალებების შესრულებაში ფართოდ ჩართოს მოწინავე სტუდენტები, რათა მათ გამოიმუშავონ რეალური ობიექტების პროექტირების პრაქტიკული უნარჩვევები, აითვისონ თანამედროვე საპროექტო და საანგარიშო მეთოდები, ტექნოლოგიები და ტექნიკა;
- სისტემატური კონსულტაციები გაუწიოს “დეპარტამენტის” შესაბამის სტრუქტურებს თავისი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში;

მუხლი 6

ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში 2009 წლის 13 მარტს ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი



არჩილ ფრანგიშვილი

საქართველოს რეგიონული განვითარების
და ინფრასტრუქტურის მინისტრის



დავით ტყეშელაშვილი

საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის თავმჯდომარე



რამაზ ნიკოლაიშვილი